

# დავალება

---

ბიზნეს სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრის მონაწილე გუნდებმა, ქვემოთ მოყვანილი კაზუსის მიხედვით, უნდა მოამზადონ სასამართლოში წარსადგენი **სარჩელი და შესაგებელი** შეჯიბრის წესების *(მუხ.6)* მოთხოვნათა სრული დაცვით (<http://nccl.ge/m/u/ck/files/Moot%20Court%20Rules.pdf>) და ატვირთონ ვებგვერდზე <http://nccl.ge/ge/8> 2012 წლის 18 ნოემბრის 23:59-მდე.

# კაზუსი

გიორგი ნაკაიძემ, რომელიც იტალიის მოქალაქე და რეზიდენტი, საქართველოში 3 თვიანი სამსახურეობრივი მივლინების დროს - 2010 წლის 01 სექტემბრიდან 2010 წლის 01 დეკემბრამდე - თავისი ქართველი მეგობრის რჩევით ავტომანქანის პირადი სარგებლობისათვის შეძენის მიზნით მიმართა შპს „მოტორსს“. 2010 წლის 10 სექტემბერს გიორგი ნაკაიძემ შპს „მოტორსთან“ გააფორმა ავტომანქანის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს შპს „მოტორსის“ სტანდარტული ხელშეკრულების ფორმას, რომელსაც შპს „მოტორსი“ იყენებს მისი ბიზნესის ფარგლებში. შპს „მოტორსი“ საქართველოში სარგებლობს კარგი რეპუტაციით მანქანებით ვაჭრობის სფეროში. შპს „მოტორსი“ რეგისტრირებულია საქართველოში - იურიდიული და ფაქტობრივი მისამართით ქალაქ თბილისში. ნასყიდობის წერილობითი ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ფასია 80 000 ევრო, პირველი შენატანი - 40 000 ევრო, ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა - 5 000 ევრო, ხოლო საერთო გადახდის პერიოდი - 8 თვე. პერიოდული გადახდების განხორციელების დრო - ყოველი თვის ბოლო კალენდარული რიცხვი. ხელშეკრულებით წლიური პროცენტი გათვალისწინებული არ არის. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან, რა შემთხვევაშიც მყიდველის მიერ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა რჩება გამყიდველთან, ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

აღნიშნული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-10 მუხლში განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

„10.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან მომდინარე ნებისმიერი საკითხისა თუ დავის განხილვა და გადაჭრა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის არ გამოირიცხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულებათა შესახებ (CISG).“

2010 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, გიორგი ნაკაიძემ პირველი შენატანის განხორციელების შემდეგ ავტომანქანაზე საკუთრების უფლება მოიპოვა (უფლება კანონის შესაბამისად დაირეგისტრირა) და ამავე დღეს ავტომანქანა ცენტრიდან გამოიყვანა. ცენტრიდან სახლამდე ავტოსატრანსპორტო გზის ერთ-ერთ მაგისტრალზე ავტომანქანის ძრავი უნებურად გაჩერდა. ავტომანქანის მოქმედებაში მოყვანა, არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა. გიორგი ნაკაიძემ ავტომანქანა ევაკუატორით ცენტრში

დააბრუნა. შპს „მოტორსთან“ მოლაპარაკების შედეგად, გიორგი ნაკაიძეს, მისი კუთვნილი ავტომანქანის შეკეთებამდე, დროებით სარგებლობაში, სხვა მანქანა გადაეცა.

ავტომანქანის ევაკუატორით ცენტრში მიყვანიდან ერთი თვის გასვლისთანავე გიორგი ნაკაიძემ შემდეგი თვის შენატანი აღარ განახორციელა. მან შპს „მოტორსისაგან“ ხელშეკრულებიდან გასვლა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა. შპს „მოტორსმა“ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გიორგი ნაკაიძემ მეორე თვის შენატანი არ განახორციელა, ამასთან, მყიდველს განუმარტა, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანა უკვე შეკეთებული იყო და შეეძლო წაეყვანა.

გიორგი ნაკაიძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და 2010 წლის 10 სექტემბრის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მანქანის საკუთრების უფლებით შპს „მოტორსისათვის“ გადაცემის სანაცვლოდ გადახდილი შენატანის - 40 000 ევროს დაბრუნება მოითხოვა. შპს „მოტორსმა“ შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, შპს „მოტორსისათვის“ მანქანის საკუთრების უფლების დაბრუნების ნაწილში.

შპს „მოტორსმა“ შეგებებული სარჩელი აღძრა იმავე სასამართლოში და ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით გიორგი ნაკაიძისათვის 40 000 ევროს დაკისრება მოითხოვა. შეგებებული სარჩელის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მისთვის აღნიშნული საფუძვლით მიყენებული ზიანი, რეალურად, 80 000 ევროს შეადგენს, თუმცა, რადგან პირველადი შენატანის სახით გადახდილია 40 000 ევრო, ამიტომ მოპასუხე გიორგი ნაკაიძეს დარჩენილი 40 000 ევროს გადახდა უნდა დაეკისროს.